**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (საბჭოს სხდომა №1; 28.01.2021) დადგენილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანხმად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტის) საბჭოს არჩევნები;
2. ფაკულტეტის საბჭოში წევრთა რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
   2.1. მათემატიკის დეპარტამენტი - 5
   2.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 5
   2.3. ფიზიკის დეპარტამენტი - 4
   2.4. ქიმიის დეპარტამენტი - 4
   2.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი - 5
   2.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი -4
   2.7. გეოლოგიის დეპარტამენტი -1
   2.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი -1
3. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ჩატარდეს **2021 წლის 8 თებერვალს;**
   3.1. მათემატიკის დეპარტამენტი - 08.02.2021, 12:00-14:00 სთ, მე-11 კორპუსის #421.
   3.2. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - 08.02.2021, 13:00-15:00 სთ, მე-11 კორპუსის #204.
   3.3. ფიზიკის დეპარტამენტი - 08.02.2021, 14:00-16:00 სთ, მე-2 კორპუსის #227
   3.4. ქიმიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 12:00-14:00 სთ, მე-2 კორპუსის #208.
   3.5. ბიოლოგიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 12:00-14:00 სთ, მე-11 კორპუსის #466ა
   3.6. გეოგრაფიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 14:00-16:00 სთ, მე-2 კორპუსის #220.
   3.7. გეოლოგიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 11:00-13:00 სთ, მე-11 კორპუსის #422
   3.8. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - 08.02.2021, 11:00-13:00 სთ, მე-2 კორპუსის #202.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღება საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით მოხდეს **2021 წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლის 18 სთ-მდე** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე shorena.chubinidze@tsu.ge.
5. ერთზე მეტ დეპარტამენტში გაერთიანებული კათედრის აკადემიური პერსონალის განცხადების მიღება არჩევნებში, როგორც ამომრჩევლის, ისევე როგორც ასარჩევი პირის მონაწილეობს შესახებ მხოლოდ ერთი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში მოხდეს **2021 წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლის 18 სთ-მდე** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე shorena.chubinidze@tsu.ge.